ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №4467796

ნომერი: AR1675560

თარიღი : 16.04.2019

გაცემის თარიღი : 19.04.2019

გაცნობის თარიღი : 19.04.2019

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , მარშალ იოზეფ პილსუდსკის გამზირი N7;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ზურაბი სამხელაშვილი პ/ნ 36001047985
- ქ. თბილისი, კაკაბეთის ქ.52

ორგანიზაცია:

- შპს გასგო ინთერნეიშენალ ჰოთელს ენდ თაუერს კოდი: 406157821

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 17 დეკემბრის №4307603 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2019 წლის 16 აპრილს №AR1675560 განცხადებით მომართა ზურაბი სამბელაშვილმა და მოითხოვა ამავე სამსახურის 2018 წლის 17 დეკემბრის №4307603 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 30 ნოემბრის №4283793 ბრძანებით ქალაქ თბილისში, მარშალ იოზეფ პილსუდსკის გამზირი N7-ში, N01.17.07.024.031 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობის მშენებლობის მიზნით, დამტკიცდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები.
სამსახურის 2018 წლის 17 დეკემბრის №4307603 ბრძანებით ცვლილება შევიდა ქალაქ თბილისის მუნიციპლიეტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპლიეტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 30 ნოემბრის №4283793 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში და საპროექტო ობიექტად დაფიქსირდა: მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი. ფუნქცია/დანიშნულება: საცხოვრებელი (დასაშვებია არასაცხოვრებელი, ზონის შესაბამისი ფუნქციების არსებობა, არა უმეტეს საერთო ფართობის 25 %-სა).
განმცხადებლის განმარტებით, სამსახურის 2018 წლის 17 დეკემბრის №4307603 ბრძანებაში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა. კერძოდ, აღნიშნულ ბრძანებაში, „2018 წლის 30 ნოემბრის №4283793“ ბრძანების ნაცვლად დაფიქსირებულია „2017 წლის 30 ნოემბრის №4283793“ ბრძანება შესაბამისად, ითხოვს აღნიშნული შეცდომის გასწორებას, გამოცემის თარიღთან დაკავშირებით.
სამსახურმა შეისწავლა შესაბამისი დოკუმენტაცია და დაადგინა, რომ 2018 წლის 17 დეკემბრის №4307603 ბრძანებით ცვლილება შევიდა სამსახურის 2018 წლის 30 ნოემბრის №4283793 ბრძანებაში, საპროექტო ობიექტთან დაკავშირებით. აქედან გამომდინარე, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და გაასწოროს ტექნიკური შეცდომა მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ტექნიკური შეცდომის გასწორების უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 17 დეკემბრის №4307603 ბრძანებაში და აღნიშნულ ბრძანებაში „2017 წლის 30 ნოემბრის №4283793“ ბრძანების ნაცვლად დაფიქსირდეს „2018 წლის 30 ნოემბრის №4283793“ ბრძანება.
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 17 დეკემბრის №4307603 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 17 დეკემბრის №4307603 და 2018 წლის 30 ნოემბრის №4283793 ბრძანებებთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.